

Image not found or type unknown

“სამართალდამცავი ორგანოების განვითარების ფონდის” თანხები საზოგადოებისთვის გამჭვირვალე არ არის

დღეს, 29 მარტს, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გიგა (გიორგი) ბოკერიამ გააკეთა საჯარო განცხადება ორგანოების განვითარების ფონდის A თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ აღნიშნული ფონდის საქმიანობა არის საჯარო, გამჭვირვალე და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მოიპოვოს ფონდის თანხების განკარგვის შესახებ ინფორმაცია.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ერთი წლის განმავლობაში ყველა კანონიერი საშუალებით ცდილობს მოიპოვოს ინფორმაცია ორგანოების განვითარების ფონდის” საქმიანობისა და ხარჯვის შესახებ, მარგამ უშედეგოდ.

აღსანიშნავია, რომ ფონდის გამჭვირვალედ საქმიანობის ვალდებულებასთან დაკავშირებულ სასამართლო დავებზე მოპასუხე მხარეები (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს გენერალური პროკურატურა) ცალსახად ამტკიცებდნენ, რომ ფონდი არის კერძო სამართლის იურიდიული პირი და შესაბამისად, მისი საქმიანობა არ არის გამჭვირვალე. ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დაფუძნებული არმიის განვითარების ფონდის A გამჭვირვალეობასთან მიმართებით.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მიმართავს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს გიგა (გიორგი) ბოკერიას, გადაამოწმოს ზემოხსენებული ფონდების გამჭვირვალეობის საკითხი და თუ ადგილი აქვს მის განცხადებასთან შეუსაბამო რეალობას, მიაწოდოს საზოგადოებას ობიექტური ინფორმაცია.